სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

16 / აპრილი / 2025 წ.

KARR0164940357025

№ **1-1/23**

ბრძანება

ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №26.34.01.408) სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2025 წლის 3 აპრილს № 487/12 განცხადებით მომართა შპს „ურბანიკის“ დირექტორმა ირაკლი მურღულიამ და მოითხოვა ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 26.34.01.408) სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის შემუშავების შესაძლებლობის განხილვა და შესაბამისი დავალების გაცემა.

დაინტერესებაში არსებული ტერიტორია (№ 26.34.01.408 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი) მდებარეობს ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში და „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის № 590 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება) დამტკიცებული დანართების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება შემდეგი ფუნქციური ზონები: საკურორტო ზონა 2 (შზ-7) (საპროექტო) - განვითარება დასაშვებია შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებით: კ1-0.3; კ2-1.5; კ3-0.5; სპეციალური ზონა 2 (სპზ-2) (საპროექტო), ლანდშაფური ტერიტორია (ლტ) და ლოკალური ტრანსპორტი და მთავარი ქუჩები (საპროექტო).

დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის განვითარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ამ ბრძანების დანართი №1-ით გათვალისწინებულ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №590 დადგენილების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნას დადებითი გადაწყვეტილება კერძო ინიციატიცის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი № 1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი № 2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად;

2. გაფორმებულ იქნას შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულება დაინტერესებულ პირთან, ამ ბრძანებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით;

3. განაშენიანების გეგმა შემუშავებული უნდა იქნას ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში;

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება, შესაბამისი თარიღიდან, ჩაითვალოს ძალადაკარგულად და შეწყვეტილ იქნას ადმინისტრაციული ხელშეკრულება;

5. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64), კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზურაბი წიკლაური